# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 31

„15“ თებერვალი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქუჩა №2-ში მდებარე 82 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 70.99 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასრო კოდი: №01.20.01.117.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქუჩა №2-ში მდებარე 82 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 70.99 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასრო კოდი: №01.20.01.117.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №22.71.77 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქუჩა №2-ში მდებარე 82 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საერთო ფართით 70.99 კვ.მ.) (საკადასტრო კოდი: №01.20.01.117.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ქეთევან არეშიძისთვის (პ/ნ. 01008031275) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე